ПРОЛЕТАРЛЕБО УЕЛЕА КВЕУНИСА, ШЕУРТДЕТ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 36 (12852)

ოთხშაბათი, 12 თებერვალი, 1964 წ.

ფასი 2 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1964 წლის 11 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.

დილის სხდომაზე თანამოხსენებანი საკითხზე — „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია სასუქების ფართოდ გამოყენების, მორწყვის განვითარების, კომპლექსური მექანიზაციისა და მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უსწრაფესად გადიდებისათვის“ გააკეთეს: უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. მ. ს. სპივაკამ, ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ს. გ. სტროროვანოვამ, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. ბ. ნ. დვორეცკიმ, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. ხ. ა. ორბაშევამ, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. ნ. ნ. მირზაიანცამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილმა.

საღამოს სხდომაზე თანამოხსენებანი გააკეთეს: აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. ა. ა. ორუჯევმა, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. მ. ი. სინდოროვმა, ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. ა. ბ. იაკიმუაკამ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

მაღალი ტექნიკა — სოფელს!

მშიერი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველ პლენუმს საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით ხვდება, რადგან პლენუმების გადაწყვეტილებანი წარმოადგენს ახალ ნიშანსვეტს კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის გზაზე.

საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელი ადამიანები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საპატიო წვლილი შეიტანონ პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში. ისინი ქმნიან სახალხო დოვლათს, ეძებენ და პოულობენ სიუხვის გზებსა და საშუალებებს, ავლენენ ახალ-ახალ რეზერვებს.

ახლა მძლავრად ჩქეფს შემოქმედებითი შრომა საკოლმეურნეო მინდვრებში, პლანტაციებსა და ბაღ-ვენახებში. კოლმეურნეები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები დღითიდღე აძლიერებენ სამუშაოთა ტემპს, რათა აქედანვე ჩაუყარონ საყარი საფუძველი შვიდწლედის მეექვსე წლის მოსავალს.

მარცვლეულისა და სხვა ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გადიდების ამოცანების გადაჭრაში ერთ-ერთ მთავარ როლს მექანიზაცია ასრულებს. ახლა ყველასათვის ცნობილია, რომ ტექნიკა, როცა მას გონივრულად გამოიყენებენ, სასწაულს ახდენს. ჩვენს რესპუბლიკაში წარჩინებულ მექანიზატორთა რიგები სულ უფრო მრავლდება. მრავალთა შორის ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი ივანე ბიდოლშვილი. სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ მაღაროს კოლმეურნეობამ შარშან სახელმწიფო ბეღელს 2.161 ტონა მარცვლეული ჩააბარა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ი. ბაიდოშვილსა და მისი ბრიგადის მექანიზატორებს. ახლა იგი შვიდწლედის მეექვსე წლის გაზაფხულისათვის ემზადება. სახელოვანმა მექანიზატორმა ტრაქტორების, სათესი მანქანებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის გასული წლის მეოთხე და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა ოლქში 53,3 პროცენტით აქვთ შესრულებული!

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მშრომელებს, პირველ რიგში კი მექანიზატორებს უნდა ახსოვდეთ, რომ ვინც ზამთარში იზარმაცებს, მთელი წელი სანანებელი ექნებათ. საჭიროა შეიხედონ სახელოსნოებში, იფიქრონ იმაზე, რომ შეუკეთებელი არ დარჩეთ არც ერთი ტრაქტორი, სათესი მანქანა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ამას წინათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა რეიდის მასალები, სადაც მხილებული იყვნენ თელავის საწარმოო სამმართველოს ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, რომლებიც დანაშაულებრივად ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. გაზაფხული შორს აღარ არის, ლალისაურის კოლმეურნეობის მესვეურებს კი ტრაქტორების, სათესი მანქანებისა და სხვა ტექნიკის შეკეთებაზე ზრუნვა ჯერაც არ დაუწყიათ. უფრო მეტიც: ნაწილი ტრაქტორები შარშან შემოდგომით მინდორში დატოვეს და დღემდე უპატრონოდ ცის ქვეშ ყრია. მანქანებს აწვიმს, ნაწილები ჟანგს შეუჭამია. სოფელ ჯუღაანის კოლმეურნურ ეკონომიკურ ბაზას ანგარიშს არ უწევენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მექანიზატორები. ამა რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტრაქტორების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალის და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა ოლქში 53,3 პროცენტით აქვთ შესრულებული!

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მშრომელებს, პირველ რიგში კი მექანიზატორებს უნდა ახსოვდეთ, რომ ვინც ზამთარში იზარმაცებს, მთელი წელი სანანებელი ექნებათ. საჭიროა შეიხედონ სახელოსნოებში, იფიქრონ იმაზე, რომ შეუკეთებელი არ დარჩეთ არც ერთი ტრაქტორი, სათესი მანქანა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ჯანსაღი ტექნიკა გაზაფხულს! — ამ დევიზით შრომობენ მცხეთის, ახალქალაქის, ზესტაფონის, ბოლნისის, საჩხერის, მაიაკოვსკის, გეგეჭკორის, ცხაკაიის რაიონებისა და აჭარის ასს რესპუბლიკის მექანიზატორები, რომლებმაც ტრაქტორების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალისა და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა დიდი გადაჭარბებით გაანალდეს და მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოს ყოველმხრივ მზად ხვდებიან.

ამჟამად საკოლმეურნეო მინდვრებში წყდება მიმდინარე წლის უხვი მოსავლის ბედი. ამ მინდვრებზე მანქანები და ადამიანები საკოლმეურნეო დოვლათს ქმნიან. სულ მალე საგაზაფხულო სამუშაოების ცხარე დღეები დადგება. ამიტომ ტექნიკის მომზადება პირველი რიგის ამოცანაა. სამწუხაროდ, ამ ანბანური ჭეშმარიტებას ანგარიშს არ უწევენ ზოგიერთ ადგილებში. ასეთ ადგილებს ეკუთვნის ბაღდათის, ონის, ამბროლაურის, ასევე ზესტაფონის, ბოლნისის, ხაშურის, ბორჯომის, ბაკურიანის,

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ამხ. ა. ა. ეფუევსკის თანამოხსენება

სოფლის მეურნეობის მინისტრის ი. პ. ვოლოვჩენკოს მოხსენების შემდეგ მოხსენება — „კომპლექსური მექანიზაცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა“ გააკეთა სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ **ა. ა. ეფუევსკიმ.**

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, თქვა მან, ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მუშაობა განხორციელდა სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თანამედროვე მანქანებითა და იარაღით უზრუნველყოფისათვის. ამან შესაძლებელი გახადა შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1,8-ჯერ გადიდებულიყო. ახლა სოფლის მეურნეობაში არის 2,6 მილიონი ტრაქტორი, (15-ძალიანზე გადაყვანით). კომბაინეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახლა ყოველწლიურად იღებენ 1300-1400 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და იარაღებს, მაშინ როდესაც 1953 წელს იღებდნენ მხოლოდ 258 მილიონ მანეთისას წელიწადში.

უკანასკნელი წლებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში დიდი თვისებრივი ცვლილებები მოხდა. ახლა ჩვენი მრეწველობა უშვებს 640-ზე მეტი დასახელების მანქანებსა და იარაღებს, რომელთა გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს კომპლექსურად მექანიზებული გაგხადოთ ისეთი შრომატევადი კულტურების თესვა-მოყვანა და მოსავლის აღება, როგორიც არის სიმინდი, ბამბა, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი და ზოგიერთი სხვა კულტურა.

სოფლის მეურნეობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგების კომპლექსური მექანიზაცია უკვე რაღაც შორეული პერსპექტივა როდია, არამედ დღევანდელი დღის ამოცანაა, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა.

ამხ. ეფუევსკის მოიყვანა მანქანათა კომპლექსის უნარიანად გამოყენების მკაფიო მაგალითები, რის შედეგად მიღწეულია თვითღირებულებისა და შრომის დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირება ერთი ცენტნერი პროდუქციის წარმოებისათვის. მან დაასახელა მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მექანიზატორები ა. ვ. გიტალოვი, ნ. ფ. მანოკოვსკი, ა. ი. რომანიუკი და ბევრი სხვა, რომლებმაც შეასრულეს წარმატებანი მოიპოვეს ტექნიკის გამოყენებაში. კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის ამოცანას რომ აწყვეტენ, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, ჩვენ შეგვიძლია უკვე დავიყოლიოთ არა მარტო მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილებასა და კომპლექსური მექანიზაციის 20 ათას რგოლსა და ბრიგადას, არამედ მთელი მეურნეობების პრაქტიკას.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ თუ მეტ წილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დანერგავთ ტექნოლოგიას, რომელსაც მოწინავე მექანიზატორები იყენებენ, მაშინ შრომითი დანახარჯები სიმინდის, ჭარხლის, ბამბისა და კარტოფილის წარმოებისათვის შეიძლება შევამციროთ 730 მილიონ კაცდღით და ოფრო მეტად, ანუ 60 პროცენტით. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ დარგებში მიღწეულ შრომის ნაყოფიერების ისეთ ზრდას, რომელიც შეიტანა პროგრამით არის დასახული 1970 წლისათვის.

ჩვენი აზრით, თქვა მომხსენებელმა, ახლა უკვე შეიძლება დაასახოთ ამოცანა, რომ ძირითადად განვახორციელოთ სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბარდის, ლობიოს თესვა-მოყვანისა და მოსავლის აღების კომპლექსური მექანიზაცია 1966-1967 წლებში, ხოლო მარცვლეული თავთავიანი კულტურების, ბამბის, კარტოფილის და ზოგიერთი სხვა კულტურისა — 1968 წელს.

ამისათვის საჭიროა სახალხო-სამეურნეო გეგმასა და მეურნეობათა სამრეწველო-საფინანსო გეგმებში ყოველწლიურად გავითვალისწინოთ კობაინტული დაკალებანი კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის დარგში.

მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ არის დიდმნიშვნელოვანი დარგები და თელი რიგი შრომატევადი პროცესები, სადაც იმის გამო, რომ არა გვაქვს საჭირო მანქანები, ჯერ-ჯერობით ძნელი და განვახორციელო კომპლექსური მექანიზაცია. განსაკუთრებით ჩამორჩენა საძუშაოთა მექანიზაცია მეცხოველეობაში. აქ ჯერჯერობით წარმოებს მხოლოდ ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა დიდ ვალშია მეცხოველეთა წინაშე.

ავტოსატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა და საკონსტრუქტორო ბიუროებმა სათანადო წესრიგი უნდა დაამყარონ ამ საქმეში, უმოკლეს ვადებში უნდა შექმნან და სამრეწველოდ ათვისონ დიდი წარმადობის მოწყობილობა საკვების მოსამზადებელი საამქროებისა და საკვების დარიგებისათვის, მოწყობილობის კომპლექსები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმებისათვის, მეღორეობის ფერმებისა და ფრინველეობის ფერმებისათვის.

კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებისათვის სოფლის მეურნეობის ყველა დარგში ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით, აღნიშნა ა. ა. ეფუევსკიმ, უახლოეს წლებში უნდა შეიქმნათ 200-ზე მეტი დასახელების მანქანა. საჭიროა მრეწველობის, მეცნიერთა და კონსტრუქტორთა ღონისძიებანი მომზარდეს ამ მანქანების წარმოების უსწრაფესად შექმნასა და წარმოების ორგანიზაციას.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა შორის თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის ელექტროფიკაციას. ახლა სოფლის მეურნეობას ხმარდება თითქმის ექვსჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე 1953 წელს. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, კერძოდ, მეცხოველეობაში ელექტროენერგიის მობმარეთ დონე ჯერ კიდევ დაბალია.

მომხსენებელმა ილაპარაკა ტექნიკური პროგრესის გზებზე სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში და აღნიშნა, რომ ეს გზები მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1962 წელი) პლენუმზე. მექანიზაციის დარგში ტექნიკური პროგრესის განვითარების მთავარი მიმართულებაა ტრაქტორების სიმძლავრის, სამუშაო სიჩქარეების გადიდება, პირფარფლ ტექნიკისა და მანქანების უნივერსალიზაციის დანერგვა.

ამხ. ეფუევსკიმ მოახსენა პლენუმს, თუ როგორ ხორციელდება ეს გეგმები. მრეწველობამ დაიწყო მთელი რიგი ქარხნების გადაყვანა გადიდებულ სიმძლავრეთა ტრაქტორების წარმოებაზე. გაწეულია გარკვეული ბუშობა პირფარფლ ტექნიკის დანერგვის დარგში. წელს მოსავლის აღებაში გამოვიყენებთ 88 ათასზე მეტ პირფარფლ სამკელ მანქანას, რომლებიც შეცვლიან 135 ათას პირველწრო მანქანას და მოსავლის აღების პერიოდში გაათავისუფლებენ 100 ათას ტრაქტორს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობა ძალიან ნელა ამუშავებს და ითვისებს სათესი და სახნავი კულტურების დასამუშავებელ ახალ პირფარფლ მანქანებს, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან ერთხანავარჯერ-ორჯერ ავამაღლოთ შესაბამის სამუშაოთა შრომის ნაყოფიერება.

ამხ. ეფუევსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მანქანათა მცირე რაოდენობით ეწარმოოთ ოპერაციები მეტი რაოდენობით, შეეასრულოთ სამუშაოთა დიდი მოცულობა. ეს ნიშნავს, რომ საჭიროა მეტი შეკვმნათ უნივერსალური მანქანები, რომელთა საშუალებით შეიძლება არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ოპერაციის შესრულება. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეკვმნათ მანქანები სათბურებსა და კვალსათბურებში სამუშაოთა მექანიზაციისათვის, აგრეთვე მოწყობილობა და ავტომატიზაციის საშუალებანი ჰიდროპონიკის წესით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოკლა-მოყვანისათვის. სარწყავი მიწათმოქმედების წარმატებით განვითარებისათვის საჭიროა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აღჭურვოთ უფრო სრულყოფილი და მეტი წარმადობის სარწყავი მოწყობილობით. სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის პროგრამის განხორციელება სახავს ამოცანას, რომ უმოკლეს ვადებში შეკვმნათ დიდი წარმადობის სასუქშესატანი მანქანები, სასუქების გამბნევები, ვაგონების დასაცლელი მანქანები, სასაწყობო მოწყობილობის კომპლექტები და სხვა ტექნიკა, მსხვილი მექანიზებული საწყობები სასუქების შესანახად. საჭიროა საქმე ისე მოეწყოს, რომ ეს ტექნიკა დროულად მიეტანოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში „სოფლტექნიკის“ ავტოტრანსპორტით.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი დარგების ტექნიკური მექანიზაციის დასამთავრებლად საჭირო იქნება 1966-1970 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მივაწოდოთ ორ მილიონზე მეტი ტრაქტორი და დიდძალი სხვა ტექნიკა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სოფლის მეურნეობა აღჭურვოთ ავტომობილებისა და ტრაქტორების მისაბმელებით. ამასთან დაკავშირებით უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ დროულად გავზარდოთ საწარმოო სიმძლავრენი, სატრაქტორო, საავტომობილო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა.

დიდმნიშვნელოვანი საკითხია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უნიფიკაცია. ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანია. ერთისა და იმავე დანიშნულების მანქანათა მარკების რიცხვი უზომოდ იზრდება, ყოველივე ეს ართულებს ტექნიკის რემონტსა და ექსპლოატაციას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგებას. სათადარიგო ნაწილების ნომენკლატურამ უკვე 42 ათას დასახელებას გადაჯარბა. ასეთ მდგომარეობას ვეღარ შეეურიგდებით.

სერიოზული ყურადღების ღირსია ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამზადების ხარისხის გაუმჯობესების, მათი გამოსადეგობის ვადის გახანგრძლივების საკითხი.

უკვე 1964-1965 წლებში, განაგრძობს ა. ა. ეფუევსკი, საჭიროა დიდი მუშაობა გაეწიოთ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დარგში და მკვეთრად გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მოსავლის აღების პერიოდში გაათავისუფლებენ 100 ათას ტრაქტორს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობა ძალიან ნელა ამუშავებს და ითვისებს სათესი და სახნავი კულტურების დასამუშავებელ ახალ პირფარფლ მანქანებს, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან ერთხანავარჯერ-ორჯერ ავამაღლოთ შესაბამის სამუშაოთა შრომის ნაყოფიერება.

ამხ. ეფუევსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მანქანათა ძირითადი დარგების კომპლექს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

პუბლიკას გააჩნია. ყაზახეთს შეუძლია სახელმწიფოს ყოველწლიურად მისცეს მილიარდი ფუთი და მეტი მარცვლეული.

ამ უკანასკნელ წლებამდე ყაზახეთში მთავარ ყურადღებას აქცევდნენ სთეპსი ფართობების გადიდებას. ახლა მთელი სიგრძე-სიგანით დადგა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ამოცანა. შრატანდოს მარცვლეულის მეურნეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში შეიმუშავეს მიწათმოქმედების ახალი სისტემა, რომლის დროსაც ნიადაგს გადაუბრუნებენ ამუშავებენ და ნაწვეროს ზედაპირზე ტოვებენ. ნიადაგის დამუშავების ასეთი წესი ხელს უწყობს ტენის დაგროვებასა და დაცვას, მნიშვნელოვნად აძცირებს ქარისაგან გამოწვეული ეროზიის მაქნელ მოქმედებას.

1964 წლის მოსავლისათვის ამ მეთოდით დავამუშავებთ შვიდ მილიონ ჰექტარზე მეტ მიწას. სხვა ღონისძიებებთან ერთად, რომელთა მიზანია მოსავლიანობის გადიდება, ამ ღონისძიების განხორციელება საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ თავთავიანი მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავალი ყამირზე დაახლოებით 12-13 ცენტნერამდე ჰექტარზე. ამასთან მარცვლეულის საერთო მოსავალი იქნება 1 მილიარდ 700 მილიონი ფუთი.

ყაზახეთში მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვია სარწყავი მიწათმოქმედება. რესპუბლიკაში არის 1 მილიონ 280 ათასი ჰექტარი ირიგაციულად მომზადებული მიწა. მიმდინარე წელს ამ ფართობის ნაწილს დაიკავებს მარცვლეული კულტურები, რაც საშუალებას მოგვცემს მოვიყვანოთ 120 მილიონი ფუთი მარცვლეული. ყაზახეთში რეალური შესაძლებლობანია იმისათვის, რომ სარწყავი მიწების საერთო ფართობი გავადიდოთ ორ-ნახევარ მილიონ ჰექტარამდე და 1970 წლისათვის სარწყავ მიწებზე მარცვლეულის მოსავალი გავზარდოთ 330-340 მილიონ ფუთამდე.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ყაზახეთში მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენება შესაძლებელს გახდის დამატებით მივიღოთ დაახლოებით 400 მილიონი ფუთი მარცვლეული და ბევრი სხვა პროდუქტები. 1970 წლისათვის მინერალური სასუქების საერთო საჭიროება იქნება 5-6 მილიონი ტონა. ამ სასუქების სწორად გამოყენების მიზნით მიმდინარე წელს განხორციელდება ყველა სარწყავი და ტენით უზრუნველყოფილი მიწების აგროქიმიური რუკების შედგენა. იქმნება ერთიანი აგროქიმიური სამსახური.

მიწათმოქმედების სისტემის სრულყოფა, სარწყავი მიწების ფართობების გადიდება, მინერალური და ორგანული სასუქების ფართოდ გამოყენება, მეურნეობათა სპეციალიზაცია რესპუბლიკას საშუალებას მისცემს მარცვლეულის წარმოება 1970 წლის გაადიდოს 2 მილიარდ 100 მილიონ ფუთამდე, ხოლო საბჭოთაშორისო პურის მიყიდვა — 1 მილიარდ 300 მილიონ ფუთამდე. მნიშვნელოვნად გადიდდება შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულისა და სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება.

ახლა, განვაგრძობს ამბ. დვორეცკი, ყაზახეთში არის 196 ათასი ტრაქტორი, 105 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 115 ათასი ავტომობილი, ასეულობით ათასი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა. ამან საშუალება მოგვცა მოგვეხდინა მარცვლეულის მოყვანისა და აღების ყველა ძირითადი პროცესის მექანიზაცია, ძირშვნელოვნად აგვემაღლებინა სხვა კულტურების მოყვანის მექანიზაციის დონე.

ამასთანავე სოფლის მეურეობის წარმოების მექანიზაციაში ბევრი გადაუჭრელი საკითხია. მათ შორის ერის გადმოტვირთვის, კალოს გულზე მარცვლეულის ჯასუფთავებისა და გაშრობის მექანიზაცია, „ყანებში ჩალის აღება. ჯერ არა გვაქვს სათობაკი, თიეის ასაბეტი და თიეის ზვინებად დასადგმელი მანქანები. არა გვაქვს მანქანების კომპლექსი სარწყავ მიწებზე შაქრის ჭარხლის მოსაყვანად და ასაღებად. შაქრის ჭარხლის ასაღები კომბაინები, რომლებსაც მრეწველობა გვაწვდის, ცუდად აცლის ფესვებს, ფოჩებს. საბჭოთა მეურნეობების მუშები და კოლმეურნეები იღუღებენ არიან ჭარხალი ხელით გასუფთაონ მინდვრად, ხშირად ავდარსა და ყინვიან ამინდში.

ნელა ინერგება შრომის მექანიზაცია მეცხოველეობის ფერმებში. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ინიციატივაზე, მაგრამ გვკლავს ახდენს ისაც, რომ ჯერ გვაქვს მანქანათა სისტემა მეცხოველეობაში ყველა ძირითადი პროცესის კომპლექსური მექანიზაციისათვის. სეროზული კონსტრუქციული ნაკლოვანებები ახასიათებს „გამოშვებულ მანქანებს, არსებითი წუნი აქვს მეცხოველეობის შენობათა პროექტებს. ბევრი პროექტი არ ითვალისწინებს მანქანათა კომპლექსის გამოყენებას.

ორატორმა სერიოზული პრეტენზიები წარუდგინა იმ საბრუნველო საწარმოებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას ამარაგებენ ტრაქტორებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. ახალი მოდიფიკაციების შექმნის დროს კონსტრუქტორები ზოგჯერ ცელიან მანქანათა კვანძებსა და ფეტალებს ისე, რომ ეს არ არის მაინც და მაინც აუცილებელი, ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ იქმნება სეროზული სიძნელეები მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის და რემონტის დროს.

წარმოების ინტენსიფიკაციის ამოცანა მტკიცედ მოითხოვს უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ არსებული ტექნიკა, სრულყოთ და განვაკაციოთ სარემონტო ბაზა. ტექნიკის ცუდი გამოყენების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მექანიზატორთა მუდმივი კადრების ნაკლებობა. უყაზახეთში ვაბორციელებთ ღონისძიებებს, რათა გაფართოვდეს მექანიზატორთა მოსამზადებელი სასწავლებლების ქსელი, მოისპოს კადრების დენადობა. ამისათვის საჭიროა შეუქმნათ მუშებს კარგი საწარმო და საყოფაცხოვრებო პირობები.

ამბ. დვორეცკიმ დაუფარდღება დაუთმო საბჭოთა მეურნეობებში წარმოების დაგეგმვისა და შრომის ანაზღაურების საკითხებს.

ყაზახეთის პარტიულ ორგანიზაციას, თქვა დასასრულ ამბ. დვორეცკიმ, თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნია ის, რომ უკვე მომდინარე წელს უზრუნველყოს სახელმწიფოსათვის 925 მილიონი ფუთი მარცვლეული, მილიონი ტონა ხორცის ჩაბარება, უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულება.

ამხ. ხ. ა. ირგაშევის თანამოხსენება

ტრიბუნაზეა უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი ხ. ა. ირგაშევი. იგი პლენუმს მოახსენებს, რომ უზბეკეთის მეცხრამეტეებმა ბამბის წარმოება 1953 წელთან შედარებით ერთნახევარჯერ გაადიდეს. რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამ უკანასკნელ წლების მანძილზე განმტკიცდნენ, მნიშვნელოვნად გადიდდა მათი ენერგოაღჭურვილობა, გაიზარდნენ შესანიშნავი კადრები.

რესპუბლიკის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, დიდად განვითარებული მორწყვა უაღრესად კეთილნაყოფიერ შესაძლებლობებს ქმნის იმისათვის, რომ სწრაფად განხორციელდეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანები, რომლებიც პარტიამ დასახა. ახლა სარწყავი სახნავის თვითეულ ჰექტარზე ვიღებთ 12-15-ჯერ მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ვიდრე ჰექტარ ურწყავ მიწაზე.

მოწინავე მეურნეობები ჰექტარზე იღებენ 30-35 ცენტნერ ხამ ბამბას. მათი გამოცდილება მოწმობს, რომ გვაქვს დიდი, გამოუყენებელი რეზერვები მოსავლიანობის გადიდებისა და ბამბისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდისათვის.

მებამბეობის ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანეს პირობათა შორის ორატორი ასახელებს სარწყავი მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას, ბამბის მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიის ყველგან დანერგვას, მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენებას, ჰექტარზე აზოტის შეტანის ნორმის გადიდებამ საშუალოდ 212 კილოგრამამდე, ამასთან მოწინავეა აგროტექნიკური და მელიორაციული ღონისძიებების სათანადო კომპლექსის განხორციელებამ საშუალება მოგვცა ხოროზმის ოლქში ბამბის მოსავლიანობა ჰექტარზე 8 პროცენტით გაგვეზიდოებინა. 1963 წელს საშუალოდ ოლქში ჰექტარზე ავიღეთ 31 ცენტნერი ბამბა. ეს ყველაზე უხვი მოსავალია ჩვენს ქვეყანაში. ხოროზმის ოლქი გასულ წელს ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

რესპუბლიკაში ხორციელდება თვითეული ჰექტარი სარწყავი მიწის რაციონალიზაციაზე გამოყენების პრაქტიკული ღონისძიებანი, გადავსინჯეთ სათესი ფართობების სტრუქტურა, რათა მებამბეობის ყოველი ღონისძიებით განვითარებასთან ერთად მკვეთრად გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება. ჩვენს პირობებში, აღნიშნავს ამბ. ირგაშევი, შეგვიძლია დიდ ფართობებზე წელიწადში მარცვლეულის ორი მოსავლის მოყვანა. 1966-1970 წლებისათვის განშეორებითი კულტურების ნათესები გაფართოვდება 400-450 ათას ჰექტარამდე. მებრინჯეობის დიდი მეურნეობების შემდგომი ორგანიზაცია საშუალებას მოგვცემს 1970 წელს რესპუბლიკა გადავაქციოთ ჩვენი ქვეყნის ბრინჯის თესვის ერთ-ერთ უდიდეს რაიონად.

მომხსენებელი ამბობს, თუ რა დიდი გაკანება მიიღო რესპუბლიკაში საირიგაციო სამეშაოებმა, რომელთა დამთავრება შესაძლებელს გახდის 1970 წლამდე ათვისოთ მშიერი ველის 300 ათასი ჰექტარი მიწა, კარშინის ველის 200 ათასი ჰექტარი და დაახლოებით 400 ათასი ჰექტარი ცენტრალურ ფერგანაში, სურხანდარიის ოლქში; ამუ-დარიის ქვემოწელში და შეიქმნას რესპუბლიკაში მებამბეობისა და ბრინჯის თესვის ახალი რაიონები.

ამბ. ირგაშევი ამბობს, რომ 1963 წელი გარდატეხის წელია ბამბის აღების მექანიზაციაში. გასულ წელს რესპუბლიკაში მანქანებით აღებული 600 ათასი ტონა ხამი ბამბა.

ყურგან-თეფეს საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა 1963 წელს მანქანებით აღებულია მთელი მოსავლის თითქმის ნახევარი. ბამბის საკრეფი ტექნიკის მასობრივი გამოყენება საშუალებას მისცემს ამ სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1964 წელს დაზოგონ ხელით კრეფასთან შედარებით დაახლოებით 700 ათასი მანეთი ანუ 600 ათასი კაც-დღე.

ამასთან ერთად მინისტრმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ სუსტად არის მექანიზებული მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოები, განსაკუთრებით ისეთი სამუშაოები, როგორიც არის ნიადაგის დაგეგმვა და თესვისწინა დამუშავება, სასუქების შეტანა თესვისწინა პერიოდში, მორწყვა, შინა სამეურნეო სარწყავი ქსელის გაწმენდა. ორატორმა აღნიშნა, კერძოდ, რომ საჭიროა ასაკრეფი მანქანების მასობრივი გამოშვება დაცვივნული ხამი ბამბის მექანიზებული აკრეფისათვის.

თავისი სიტყვის დასკვნითი ნაწილი ამბ. ირგაშევმა მიუძღვნა ჩამორჩენილ მეურნეობათა გაძლიერებას. გასულ წელს, თქვა მან, ჩამორჩენილმა მეურნეობებმა ბამბის წარმოება 27 პროცენტით გაზარდეს. პირველად მრავალ წლის განმავლობაში მოგებით დასრულდა რეს საბჭოთა მეურნეობებმა. მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ეალდებულებენ ერთმანეთს, რომ სახელმწიფოს ჩააბარებენ 3.600 ათას ტონა ბამბას, ხოლო 1970 წელს მის წარმოებას გაადიდებენ 4.100-4.300 ათას ტონამდე. დასახულია, რომ 1970 წლისათვის მარცვლის მოსავალი რესპუბლიკაში გადიდდება 350-400 მილიონ ფუთამდე.

უზბეკეთის რესპუბლიკა, უზბეკეთის კომუნისტური პარტია, თქვა დასასრულ ორატორმა, მიმდინარე წელს აღნიშნავენ თავიანთ 40 წლის იუბილეს. რესპუბლიკის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შრომითი გამარჯვებებით აღნიშნონ ეს ღირსშესანიშნავი წელი.

ამხ. ხ. ნ. მირზაიანცის თანამოხსენება

მებამბეობის განვითარების პრობლემებს მიუძღვნა თავისი თანამოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ხ. ნ. მირზაიანცმა. ტაჯიკეთში, თქვა მან, მიღწეულია მებამბეობის მაღალი დონე. ეს არის სარწყავი მიწების რაციონალური გამოყენების, მორწყვისა და მელიორაციისათვის დიდი კაპიტალური დაბანდების შედეგი, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, სოფლის მეურნეობის ამ დარგის ტექნიკური აღჭურვილობის განუწყვეტელი ზრდის შედეგი.

სახელმწიფოს უდიდესი დახმარებისა და ბამბის მუშების გმირული შრომის მეოხებით ტაჯიკეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1963 წლის ამინდის მძიმე პირობებში სამშობლოს მისცეს 540 ათასი ტონა ხამი ბამბა, ანუ 105 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1962 წელს. ეს ყველაზე დიდი მოსავალია ტაჯიკეთის მებამბეობის მთელი ისტორიის განმავლობაში. 1953 წელთან შედარებით ბამბის წარმოება თითქმის 1,4-ჯერ გაიზარდა.

მებამბეობასთან ერთად აღნიშნა ამხ. მირზაიანცმა, განუწყვეტლივ ვითარდება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც. განვლილი ათი წლის მანძილზე რესპუბლიკაში წარმოებულია 2,3-ჯერ მეტი ხორცი დაკლული წონით, 2,4-ჯერ მეტი რძე და ერთიორად მეტი კვერცხი. პარტიის მიერ დასახული კურსი — მებამბეობისა და მეცხოველეობის შეხამების კურსი სწორი და ეფექტიანია.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, თქვა ორატორმა, უდიდეს შესაძლებლობებს ხსნის ტაჯიკეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. ამ-ამ ეტაპზე ტაჯიკეთის ეკონომიკა ეფუძნება ბამბისა და ბრინჯის ექსტენსიურ მოყვანას. ეს ეფექტიანი ფორმა ამ-ამ ეტაპზე ეფექტიანია, ეს ფორმა ეხმარება ტაჯიკეთის ეკონომიკას, ეხმარება ადამიანებს, ეხმარება ეროვნულ ეკონომიკას.

მშვენდება, ლამაზდება ქალაქი თელავი. სურათზე: ლენინის ქუჩა. ფოტო ი. ტორისა.

ბარათი ლატვიიდან

ბიათურა. (საკ. კორ.). რამდენიმე წელია მეგობრობენ მარგანეცის ქალაქისა და ლატვიის საყურორტო ქალაქ სიგულდის მშრომელები. ლატვიელი მეგობრები სტუმრად ყოფილან ბიათურაში, ქართველი ახალგაზრდებიც რამდენჯერმე იყვნენ ლატვიაში სომღერისა და ცეკვის დღესასწაულზე.

ამ დღეებში ქალაქის მეორე საშუალო სკოლაში მოვიდა ბარათი ლატვიიდან. პატარა სოფელ ზასოეს საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი გოგონა ველგა ავოტინია მეგობრობას სთავაზობდა თავის თანატოლებს. იგი იწერებოდა: „მინდა ცოტა რამ ვიცოდე თქვენს ქალაქსა და თქვენს სწავლა-ცხოვრებაზე. მეც მოგწერთ ჩვენი კოლმეურნეობის და სკოლის შესახებ"...

ლატვიელ გოგონას პასუხი ბიათურელმა დალი გოგოლიძემ გაუგზავნა. წერილში იგი მოუთხრობდა თავიანთ ცხოვრებაზე.

წერილები ამანათებმა შეცვალეს. „მივიღე შენი გამოგზავნილი ამანათი — მანდარინი, ვაშლი, მსხალი", — იწერება ლატვიელი მოსწავლე. მან დიდი მადლობა გადაუხადა ქართველ მეგობარს და თავის მხრივ ძვირფასი ამანათი გამოუგზავნა.

უეჭველია, ისინი ამ მეგობრობას ტრადიციად დაამკვიდრებენ.

ახალი პოლიკლინიკა

გორი. (საკ. კორ.). ქალაქის ჯანმრთელობის ქსელს კიდევ ერთი ახალი კერა შეემატა. ფეიქართა დაბაში, მშვიდობის ქუჩაზე, ახლადაგებული საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში გაიხსნა სტომატოლოგიური პოლიკლინიკა.

მომავალი მუსიკოსები

თბილისში ახლა ბევრი სახლიდან გაიგონებთ პიანინოს ხმას. უკრავენ მთიელი გოგონები და ბიჭები. ესენი მუსიკალური სკოლის პირველი, მეორე და მესამე კლასების მოსწავლეები არიან.

1962 წელს რაიონულ ცენტრში გაიხსნა მუსიკალური შვიდწლედი, რომელიც ნიკო ეუმსიაშვილის სახელს ატარებს.

მთიელი ბავშვების მუსიკალურ აღზრდას მასახურებიან ახალგაზრდა მასწავლებლები იზოლდა მაგრაქველიძე, ინეზა ჭოლოკავა, ლია ტაბატაძე.

მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა მიერ გამართულმა კონცერტებმა მსმენელთა მოწონება დაიმსახურეს.

ი. ბეჟანიშვილი.

„ექვსთა ტურნირის" შემდეგ

როგორც ცნობილია, მოსკოვის კლუბების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი მექსიკაში იმყოფება და აქ მონაწილეობს დიდ საერთაშორისო ასპარეზობაში, ანუ, როგორც მას უწოდებენ, „ექვსთა ტურნირში". მექსიკის, ბრაზილიის, იუგოსლავიის უძლიერეს კოლექტივებთან პაექრობაში საბჭოთა ფეხბურთელებს არც ერთი მატჩი არ წაუგიათ და უკანასკნელ შეხვედრამდე პირველი ადგილი გაინაწილეს.

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით „ექვსთა ტურნირის" შემდეგ მოსკოვის კლუბების ნაკრები მეხიკოში გამართავს კიდევ ორ საერთაშორისო შეხვედრას ადგილობრივ საკლუბო გუნდებთან 16 და 19 თებერვალს.

ლიდერთა ჯგუფში სივიწროვეა

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გრძელდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პირველობა ჭადრაკში. 16 მოჭადრაკე იბრძვის ჩემპიონის ტიტულისათვის. ესენი არიან ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები, პირველთანრიგოსნები.

გაელილია დისტანციის ორი მესამედი, ჩასატარებელი დარჩა ხუთი ტური. გუშინ მოეწყო ათი ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება, რომელმაც სატურნირო ცხრილში გარკვეული სიცხადე შეიტანა.

დღეისათვის ლიდერია გ. მაჭავარიანი, რომელსაც 8 ქულა აქვს. ოსტატი ა. ბუსლაევი ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება. ა. ფირცხალავა, ს. მეგრელიშვილსა და გ. კალატოზიშვილს ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა აქვთ, ი. ჩიქოვანს — 6 ქულა.

მექსიკიდან საბჭოთა ფეხბურთელები მიწვეული არიან სალვადორში, სადაც 23 თებერვალს ამხანაგური მატჩი უქნიათ ადგილობრივ გუნდთან. ტურნირს უკანასკნელი ქვეყანა იქნება კოსტა-რიკა. აქ ჩვენი ფეხბურთელები 26 თებერვალს უკანასკნელ შეხვედრას გამართავენ და სამშობლოში დაბრუნდებიან.

მიმოწერით თამაში

ჭადრაკში მიმოწერით თამაშის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით ეწყობა ამ დარგის ოსტატთა დიდი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბელგიის, შვეიცის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, თურქეთის, ჰოლანდიისა და სსრ კავშირის 15 წარმომადგენელი.

სსრ კავშირიდან მიმოწერით ტურნირში გამოდის თ. გიორგაძე.

მიმოწერით თამაში წელიწადახევარს გაგრძელდება. ყოველი სვლისათვის განკუთვნილია 3 დღე, თვეში უნდა გაკეთდეს 10 სვლა. თვითეული მოჭადრაკე ერთდროულად ეთამაშება თოთხმეტსაგი შეტოქეს. წერილების ადგილზე მისვლისათვის დახარჯული დრო ანგარიშში არ შედის.

ასპარეზობა შაშში

რესპუბლიკური პირველობის გათამაშება ასუჯრედიან შაშში ფინიშს უახლოვდება. აქ ერთმანეთს ეცილება შაშის 12 მოთამაშე, რომელთა შორის არიან გასული წლის ჩემპიონი და პრიზიორები.

გუშინდლამდე გათამაშდა ექვსი ტური. სატურნირო ცხრილის სათავეში დგას ქუთაისელი ზ. შალამბერიძე, რომელსაც 5 ქულა აქვს. გასული წლის ჩემპიონს თბილისელ ს. საგიევს 5-დან 4,5 ქულა აქვს, ვ. ლიტვაკს (თბილისი) — 3-დან 4 ქულა.

რესპუბლიკურ ჩემპიონატში გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში, რომელიც მარტში შედგება დნეპროპეტროვსკში.

ჟურნალი „მაცნე"

1964 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბის" ნაცვლად გამოვა ჟურნალი „მაცნე" (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო).

ჟურნალი „მაცნე" გამოდის წელიწადში ექვსჯერ თვითეული ნომერი 20 თაბახის მოცულობით. იგი ფართოდ აშუქებს ისტორიის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, სამართლისა და ხელოვნებათმცოდნეობის აქტუალურ საკითხებს.

ჟურნალში დიდი ადგილი აქვს დათმობილი კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებას. ამ განყოფილებაში დაბეჭდილ წერილებში სათანადოდ არის განხილული და შეფასებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში გამოცემული ნაშრომები.

ჟურნალის წლიური ფასია 6 მანეთი (ე. ი. თვითეული ნომერი ერთი მანეთი). ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" ყველა ადგილობრივ განყოფილებაში.

ხელბურთელთა ორი დამარცხება

სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო „ბუქარესტის თასის" გათამაშებაში. გარდა ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებისა ასპარეზობაზე გამოდიოდნენ რუმინეთისა და უნგრეთის გუნდები.

პირველ მატჩში მსოფლიოს ჩემპიონთან — რუმინეთის ნაკრებთან საბჭოთა ხელბურთელებმა საბრძოლო ფრეს (12:12) მიაღწიეს, მაგრამ მომდევნო ორ მატჩში უნგრეთის ნაკრებთან და რუმინეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან დამარცხდნენ ანგარიშით 5:14 და 9:15.

თასი რუმინელებმა მოიპოვეს.

უნივერსიადა გაიხსნა

გუშინ ჩეხოსლოვაკიაში საზეიმოდ გაიხსნა მიმდინარე სეზონის სტუდენტ-სპორტსმენთა ერთ-ერთი გრანდიოზული ასპარეზობა — უნივერსიადა. პირველობას ერთმანეთს ეცილება 18 ქვეყნის 296 წარმომადგენელი. ყველაზე მეტი სპორტსმენი გამოჰყავს ჩეხოსლოვაკიას (59). საბჭოთა გუნდის შემადგენლობაშია 36 კაცი.

დღეს გაიმართება სლალომისტთა ასპარეზობა.

ა. მ. კობახიძე

მოულოდნელად გარდაიცვალა თბილგერმაბმშენის №212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსი, სკკპ წევრი. საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ა. მ. კობახიძე.

ა. კობახიძე დაიბადა 1904 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევში, გლეხის ოჯახში. 1925 წელს დამთავრა თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, 1927 წლიდან 1932 წლამდე მუშაობდა შავი ზღვის რკინიგზისა და სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის მშენებლობაზე ტექნიკოსად და სამუშაოთა მწარმოებლად. 1932 წელს შვიდი თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, რომელიც 1936 წელს დაამთავრა.

ინჟინრის სპეციალობის მიღების შემდეგ ა. კობახიძემ სახელოვანი შრომითი გზა განვლო. მუშაობდა ამიერკავკასიის საგზაო მშენებლობის ტრესტის სამშენებლო უბნის უფროსად, ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო მშენებლობის სამშენებლო უბნის უფროსად, გზათა სამინისტროს მშენებლობის უფროსის მოადგილედ, მშენებლობის უბნის უფროსად, ხოლო 1956 წლიდან თბილგერმაბმშენის № 212 სამშენებლო სამონტაჟო მატარებლის უფროსად.

ნაყოფიერი ხანგრძლივი მუშაობისათვის ა. კობახიძე დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

ა. კობახიძის ნათელი ხსოვნა, როგორც სამაგალითო მუშაკისა და კარგი ამხანაგისა, სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა

საზღვარგარეთის გამოსხმაურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გამო

□

ლონდონი. ინგლისის პრესა დიდ ინტერესს იჩენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისადმი, რომელიც მოსკოვში გაიხსნა. საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვან მოვლენას უძღვნიან ცნობებს ისეთი გაზეთები, როგორიც არის „ტაიმსი", „დეილი ტელეგრაფი", „დეილი უორკერი" და სხვ. გაზეთები ათავსებენ ინფორმაციას პლენუმის შესახებ, ბეჭდავენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ი. პ. ვოლოვჩენკოს მოხსენების შინაარსს.

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავენ ცნობებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნისა და მასალებს პლენუმის პირველი დღის მუშაობის შესახებ. გაზეთები გამოთქვამენ რწმენას, რომ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზით საბჭოთა კავშირი მოკლე დროში ახალ წარმატებებს მოიპოვებს.

პლენუმი, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ბერლინერ